# ახალგაზრდა მკვლევართა კლუბი

<u>პრეამბულა</u>

უკანასკნელ წლებში სულ უფრო მეტი ყურადღება ეთმობა მოსახლეობისათვის საფრთხის შემცველი პროცესების შესწავლას, პრევენციული ღონისძიებების გატარებას, მოსახლეობის ცოდნის ამაღლებას ამა თუ იმ მოვლენისგან თავის დასაცავად.

ჩვენი პროექტის მიზანია, ხელი შევუწყოთ სკოლებში სტიქიური თუ სოციალური მასშტაბური პროცესების შემსწავლელ ახალგაზრდა მკვლევართა კლუბების („ამკლ“, Junior Researchers Club - JRC), ჩამოყალიბებას, ახალგაზრდებში კვლევის, მეცნიერებისადმი ინტერესის გაღვივებას, ცნობიერების ამაღლებას, პირადი პასუხისმგებლობის, ინიციატივის, გუნდური მუშაობის ჩვევების ჩამოყალიბებას.

ახალგაზრდა მკვლევართა კლუბების მიზნები და ამოცანები იქნება საფრთხის შემცველი პროცესების პროფილაქტიკის, მართვის და/ან მათგან თავდაცვის მეთოდების შესახებ არსებული ცოდნის საზოგადოებაში გავრცელება, აგრეთვე, შეძლებისდაგვარად, მარტივი დაკვირვებითი და კვლევითი მუშაობის ჩატარება.

თსუ საბავშვო უნივერსიტეტი გაუწევს კლუბებს საკონსულტაციო დახმარებას ინფორმაციის მოძიების, კვლევითი სამუშაოს დაგეგმვის, პროცესების მონიტორინგის და ა.შ. ეტაპებზე, რისთვისაც კლუბი მუდმივ მჭიდრო კონტაქტში უნდა იყოს ჩვენთან.

ჩვენი რეკომენდაციაა, კლუბებმა განსაკუთრებული ყურადღება დაუთმონ ადგილობრივ აქტუალურ პრობლემებს, მათ აღწერას, დაკვირვებას, შესწავლას, პრევენციული ღონისძიებების შესახებ მოსახლეობაში სათანადო ცოდნის გავრცელებას.

თუ გსურთ მონაწილეობა მიიღოთ აქტუალური გამოწვევების კვლევაში,

შექმენით სკოლაში ახალგაზრდა მკვლევართა კლუბი და დაგვიკავშირდით!

ნიმუშის სახით გთავაზობთ თსუ საბავშვო უნივერსიტეტის ახალგაზრდა მკვლევართა კლუბის წესდებას, რომელიც კლუბმა შეიძლება გაიზიაროს ან შეცვალოს თავისი შეხედულებების საფუძველზე. უკანასკნელ შემთხვევაში, გთხოვთ, შესათანხმებლად მოგვაწოდოთ ახალგაზრდა მკვლევართა კლუბის წესდების თქვენეული ვერსია.

## ახალგაზრდა მკვლევართა კლუბი

## წესდება

## თავი I.

## ზოგადი დებულებები

1. თსუ საბავშვო უნივერსიტეტის ხელშეწყობით სკოლაში დაარსებული ახალგაზრდა მკვლევართა კლუბი (შემდგომში -კლუბი) წარმოადგენს არაკომერციულ, აპოლიტიკურ, საჯარო და კერძო სკოლის მოსწავლეთა ნებაყოფლობით გაერთიანებას.

2. კლუბი საკუთარ საქმიანობას წარმართავს წინამდებარე წესდების და საქართველოს კანონდმებლობის შესაბამისად.

3. თსუ საბავშვო უნივერსიტეტის ახალგაზრდა მკვლევართა კლუბის („ამკლ“, Junior Researchers Club, JRC) საკუთარ სახელს ირჩევენ კლუბის წევრები.

## თავი I I.

## თსუ საბავშვო უნივერსიტეტის ურთიერთობა ახალგაზრდა მკვლევართა კლუბთან

1. თსუ საბავშვო უნივერსიტეტი უზრუნველყოფს კლუბის კვლევითი საქმიანობის საკონსულტაციო დახმარებას ინფორმაციის მოძიების, კვლევითი სამუშაოს დაგეგმვის, პროცესების მონიტორინგის და აგრეთვე მუშაობის სხვა ეტაპებზე.

2. საბავშვო უნივერსიტეტს უფლება აქვს შეწყვიტოს კლუბთან ურთიერთობა, თუ ახალგაზდული კლუბი ჯეროვნად არ ასრულებს აღებულ ვალდებულებას.

3. თსუ საბავშვო უნივერსიტეტი პასუხისმგებლობას არ იღებს ახალგაზდული კლუბის იმ ქმედებეზე, რომელიც არ არის შეთანხმებული თსუ საბავშვო უნივერსიტეტთან.

## თავი III

## კლუბის მიზნები და ამოცანები

1. კლუბის მიზნებია:

   ა) საფრთხის შემცველი პროცესების პროფილაქტიკის, მართვის და/ან მათგან თავდაცვის მეთოდების შესახებ არსებული ცოდნის საზოგადოებაში გავრცელება.

   ბ) მარტივი დაკვირვებითი და კვლევითი მუშაობის ჩატარება.

   გ) ჩატარებული კვლევების შედეგების საზოგადოებაში გავრცელება.

2. კლუბის ამოცანებია:

ა) ორგანიზება გაუკეთოს თავისი სკოლის მოსწავლეების ჩართულობას საკუთარ გარემოში არსებული საზოგადოებისათვის საფრთხის შემცველი პროცესების იდენტიფიცირება, დაკვირვებასა და შესწავლაში.

ბ) კოორდინირება გაუწიოს კლუბის წევრთა საქმიანობას კვლევითი ამოცანის დაყენების ეტაპიდან შედეგების ანალიზის ეტაპის ჩათვლით.

გ) უზრუნველყოს თანამშრომლობა როგორც კვლევის კონსულტანტთან (თსუ საბავშვო უნივერსიტეტი), ასევე მოსახლეობასათან, არსებული საჭირო პრევენციული მეთოდების ან ჩატარებული კვლევის შედეგების იმპლემენტაციის მიზნით.

## თავი IV.

## კლუბის წევრობა

1. კლუბის წევრი შეიძლება გახდეს საჯარო და კერძო სკოლის ყველა დაინტერესებული მოსწავლე.
2. კლუბის წევრების რაოდენობა და კლუბის სექციების რაოდენობა შეზღუდული არ არის.
3. კლუბს შეიძლება ჰყავდეს კლუბის ნამდვილი და ასოცირებული წევრები, კოორდინატორი (მოსწავლე), კლუბის სექციის კოორდინატორი (მოსწავლე), კონსულტანტი-მასწავლებელი, ბორდის* წევრი.
4. კლუბის კონსულტანი-მასწავლებელი/ები შეირჩევა შესასწავლ საკითხთან მიმართებაში მისი/მათი კომპეტენტურობის საფუძველზე.
5. კლუბის ნამდვილი წევრები შეიძლება იყვნენ VIII-XII კლასის მოსწავლეები, რომლებიც ნებაყოფლობით ერთიანდებიან კლუბში.
6. კლუბის ასოცირებული წევრი შეიძლება იყოს ამ წესდების IV თავის მე-5 პუნტქით გათვალისწინებული კლასების გარდა საჯარო და კერძო სკოლის ყველა მოსწავლე, რომელთა გაწევრიანება კლუბში დასაბუთებული უნდა იყოს დასმული კვლევითი ამოცანის საჭიროებით.
7. კლუბის ბორდის შემადგენლობა: კლუბის კოორდინატორი, სექციის/ების კოორდინატორი/ები, კონსულტანტი-მასწავლებელი/ები, კლუბის ნამდვილი წევრი/ები (რეკომენდებული რაოდენობა 7 ან 9 წევრი).

## თავი V.

## კლუბის სტრუქტურა და არჩევის წესი

1. კლუბის სტრუქტურას წარმოადგენს: კლუბის ნემდვილი და ასოცირებული წევრები, სექციის/ების კოორდინატორი/ები, კლუბის კოორდინატორი, კონსულტანტი-მასწავლებელი, კლუბის ბორდი.

2. კლუბის ნამდვილი წევრები, ხმების ¾ -ის ოდენობით, 2 სემესტრის ვადით, ირჩევენ კლუბის კოორდინატორს, სექციის/ების კოორდინატორს/ებს, კონსულტანტ-მასწავლებელს/ებს და ბორდის დანარჩენ წევრებს, რომლებიც ამავე დროს კლუბის ნამდვილი წევრის სტატუსს ინარჩუნებენ.

3. კლუბის კოორდინატორი, სექციის/ების კოორდინატორი/ები, კონსულტანტ-მასწავლებელი/ები არჩევის შემდეგ ავტომატურად ხდებიან ბორდის წევრები.

4. კლუბის კოორდინატორის, სექციის/ების კოორდინატორი/ების, კონსულტანტ-მასწავლებელის/ების, ბორდის წევრების არჩევა შეიძლება ზედიზედ მხოლოდ 2 ვადით.

5. კლუბის ბორდი პასუხსიმგებელია კლუბის მიერ დასახული მიზნებისა და ამოცანების აქტუალობასა და რელევანტურობაზე.

6. კლუბის კოორდინატორი პასუხსიმგებელია კლუბის ეფექტურ მუშაობაზე.

7. სექციის/ების კოორდინატორი/ები პასუხისმგებლები არიან სექციის გამართულ მუშაობაზე.

8. კონსულტანტი-მასწავლებელი/ები პასუხისმგებლები არიან კლუბის მიერ დასახული ამოცანების შესრულებასთან დაკავშირებული ორგანიზაციული, კონსულტატიური და სხვა სახის დახმარების უზრუნველყოფაზე.

## თავი VI.

## უფლებამოსილების შეჩერება, კლუბის გაუქმება

1. კლუბის კოორდინატორს, სექციის კოორდინატორს, კონსულტანტ-მასწავლებელს/ებს, ბორდის წევრს უფლება აქვს მისცეს გაფთხილება კლუბის წევრს, რომელიც ჯეროვნად არ ასრულებს მასზე დაკისრებულ უფლებამოსილებას.

2. კლუბის ნამდვილი და ასოცირებული წევრის უფლებამოსილების შეჩერების საფუძველია:

   ა) პირადი წერილობითი ან/და ზეპირი განცხადება;

   ბ) კლუბის ნამდვილი წევრების ¾ -ის გადაწვეტილება;

3. კლუბის კოორდინატორის, სექციის/ების კოორდინატორს/ების, კონსულტანტი-მასწავლებელი/ების, ბორდის წევრების უფლებამოსილების შეჩერების საფუძველია:

   ა) პირადი წერილობითი ან/და ზეპირი განცხადება;

   ბ) კლუბის ნამდვილი წევრების ხმების ¾-ის გადაწყვეტილება.

4. კლუბის ლიკვიდაცია შესაძლებელია კლუბის ნამდვილი წევრების ხმების ¾-ის გადაწყვეტილებით, თსუ საბავშვო უნივერსიტეტთან შეთანხმებით.

(*ბორდი board ინგლ. **საბჭო; კომისია; კოლეგია; კომიტეტი - ბარბარიზმების ლექსიკონი)**

**წესდების ნიმუში მოამზადა**

**დოქტ. მარინა ლომოური - თსუ საბავშვო უნივერსიტეტის ხელმძღვანელი**

**ფილოსოფიის დოქტორანტი გიორგი გრიგოლაშვილი - თსუ აბიტურიენტთა სამსახურის უფროსი**